რა საფრთხის წინაშე დგას ბიძინა ივანიშვილი?

გაზეთი ”საქართველოს რესპუბლიკა” – 20 თებერვალი, # 32, 2013 წელი

გვესაუბრება ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ***ლადო პაპავა***

- ბატონო ლადო, სანამ საქართველოს ეკონომიკას მიმოვიხილავდეთ, უნდა გკითხოთ, ასრულდება თუ არა ,,ოცნება“ ოდესმე?

- კარგი შეკითხვაა, მრავლისმომცველი... ოცნება იმიტომ არის ოცნება, რომ უნდა ისწრაფვოდე მისი ასრულებისკენ. ოცნების ასრულებაზე შესანიშნავი ფილმია გადაღებული- ,,შერეკილები“, მაგრამ შემთხვევით არა აქვს ასეთი სათაური. ოცნებაზე დიდი ილიას სიტყვები კარგად მეტყველებენ: ,,აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია“, რომელიც აგერ საუკუნეზე მეტია აქტუალურობას არ კარგავს. ოცნებას თავისი დინამიკა აქვს, მაგრამ მხოლოდ ოცნება ქმედების გარეშე არაფრის მომცემია...

- თქვენ აკრიტიკებდით წინა ხელისუფლებას და ამბობდით, რომ ჩვენი ეკონმიკა არის ნეოლიბერალიზმისა და ნეობოლშევიზმის სინთეზიო, დღეს საითკენ მიდის ახალი მთავრობის ეკონომიკური კურსი?

-დღეს გარკვეული კონტურები გამოიკვეთა, მაგრამ ჩემთვისაც ბევრი რამ ნათელი არ არის. არის მცდელობა იმისა, რომ ბიზნესი განთავისუფლდეს ხელისუფლების ზემოქმედებისაგან, რომ კონკურენციას შეეწყოს ხელი, ფასებმა დაიწია მედიკამენტებზე, საწვავზე, სხვა პროდუქციაზე... მეორე მხრივ, ბიზნესში სახელმწოფოს ჩაურევლობა არ ნიშნავს იმას, რომ ბიზნეს არ ჰქონდეს ხელშეწყობა. ამისთვის სჭირდება ქვეყანას ანტიმონოპოლიური კანონი. მე როგორც ვიცი, არსებოს ერთი შედარებით უკეთესი ანტომონოპოლიური კანონპროექტი, რომელიც ეკონომიკური განვითარების ინსტიტუტმა მოამზადა და მეორე, შედარებით უარესი,

რომელიც ეკონომიკის სამინისტომ შეიმუშავა. ჯერ არ ვიცი, რომელ მოდელს აირჩევენ. ასევე ბოლომდე ნათელი არ არის საქართველოს ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების დადების დეტალები, თუ როგორ აქვს ეს გააზრებული მთავრობას. იმავდროულად, საინტერესოა რუსულ ბაზარზე ქართული პროდუქციის დაბრუნების თემაც, მაგრამ არც ის ვიცი, როგორ აპირებენ ამის გაკეთებას. ამიტომ, როცა ვამბობ, რომ სასიკეთოდ იცვლება ვითარება, ვგულისხმობ ნეობოლშევიზმზე მთავრობის მხრიდან უარის თქმას, თუმცა ვერ ვამბობ, რომ ნეოლიბერალიზმის ელემენტების რა მომავალი ექნება.

ჯერ-ჯერობით ერთადერთი ფინანსთა სამინისტრო თანამშრომლობს საზოგადოებასთან, შეადგინა პრინციპულად გამჭირვალე ბიუჯეტი, გამოვიდა ინიციატივით პენსიების გამოთანაბრების და შემდეგ საარსებო მინიმუმადე აწევის შესახებ. საარსებო მინიმუმიც აუცილებლად გადაიხედება და თავიდან დაითვლება, თუმცა ეს უკვე ფინანსთა სამინისტროს პრეროგატივა არ არის. ის ასევე გამოვიდა ინიციატივით დაუბეგრავ მინიმუმთან დაკავშირებით, ეს ცნებაც ახლა შემოიღეს, აქამდე არც არსებობდა, თუმცა ჩემი დამოკიდებულება ამასთან დაკავშირებით ცოტა კრიტიკულია. ჩემი აზრით, უმჯობესი იქნებოდა, საგადასახადო კოდექსში დაფიქსირებულიყო ასეთი ჩანაწერი, რომ 2014 წლისთვის ხელფასი არ უნდა იყოს 200 ლარზე ნაკლები. ასეთ შემთხვევაში ჯამაგირი 20 პროცენტი საშემოსავლო გადასახადით რომ დაიბეგრება, დარჩება 160 ლარი, რაც დღეს მოქმედ საარსებო მინიმუმზე მეტია. ყოველი წლისთვის მოხდებოდა ამ თანხის კორექტირება, იმისდა მიხედვით, რომ დაბეგვრის შემდეგ დარჩენილი ხელფასი არ იყოს ოფიციალურ საარსებო მინიმუზე ნაკლები. ასეთი ჩანაწერით პრაქტიკულად არანაირი დამატებითი ადმინისტრაციული ხარჯი საშემოსავლო სამსახურს გასაწევი არ ექნებოდა და არც ბიუჯეტიდან არ იქნებოდა დასაბრუნებელი თანხა.

და რაც მთავარია, ფინანსთა მინისტრმა შექმნა სათათბირო, სადაც მოგვიწვია საქართველოს ეკონომისტები, არასამთავრო ორგანიზაციების წარმომადგენლები, აკადემიური წრეები, უნივერსიტეტის პროფესორები. უკვე ორი შეხვედრა შედგა.

როგორც საბჭოს წევრები პრაქტიკულად ყოველდღიურ რეჟიმში ვიღებთ ინფორმაციას ხაზინაში არსებული ვითარების შესახებ.

- ითვალისწინებენ თუ არა თქვენს შეხედულებებს?

- ჯერ-ჯერობით, კი. მე დავაყენე საკითხი სტატისტიკის სამსახურის მუშაობის გაუმჯობესების აუცილებლობაზე, რაზეც თანხმობა მივიღე. თუ გვინდა ვიცოდეთ, რა ხდება ეკონომიკაში, ამაში გვეხმარება სტატისტიკის სამსახური, რომელიც სავალალო მდგომარეობაშია. მისდამი საკმაოდ ნიჰილისტური დამოკიდებულება აქვს პოლიტიკურ ელიტას. გახსოვთ, ალბათ, გასულ ზაფხულში ვანო მერაბიშვილის, როგორც პრემიერ- მინისტირის გაკეთებული ფრაზა - ჩვენ სტატისტიკას არ ვენდობითო... ეს ტენდენცია რომ არ გაგრძელდეს , სწორედ ამისთვის გვჭირდება სტატისტიკის სამსახურის გამართულად მუშაობა.

- რას ფიქრობთ, მთავრობის 100 დღის გაწეულ სამუშაოზე, რომლის პრეზენტაცია თავად პრემიერ-მინისტრმა მოაწყო?

- ამ კუთხით, გამოვყოფდი საინვესტიციო ფონდების შექმნის იდეას, თუმცა აქაც ბევრი გაურკვევლობაა. ჩემთვის დღემდე არ არის ნათელი, რა პრინციპით იფუნქციონირებენ საინვესტიციო ფონდები, როგორ მოიზიდავენ თანხებს, როგორ შეარჩევენ პროექტებს, როგორ მოხდება თანხების მართვა და ინვესტიციების განხორციელება და ა.შ. ამის შესახებ სამწუხაროდ, ეკონომიკის განვითარების სამინისტრო დუმს.

- თქვენ ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნეთ რომ, აქ შესაძლოა "ბარონ მიუნჰაუზენის ეფექტმა" იმუშაოსო.

- "ბარონ მიუნჰაუზენის ეფექტი" იმ კონტექსტში ვიხმარე, რომ 2013 წელი საინვესტიციოდ არასახარბიელო წელი იქნება: პოლიტიკური დაძაბულობა, გაურკვევლობა, მოლოდინი იმასა,რომ შეიძლება სააკაშვილმა დანიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, ხოლო შემოდგომაზე გველოდება საპრეზიდენტო არჩევნები და ა.შ. ეს ცუდ გარემოს ქმნის საინვესტიციოდ. ამასთანავე არ არის გამორიცხული კიდევ რაიმე მოულოდნელი გართულებები მოხდეს. მაგალითად, არ

მესმის, რატომ არ შეუშვა პარლამენტმა სააკაშვილი პარლამენტში მოხსენების გასაკეთებლად? ჩასულიყო. შეგახსენებთ, რა უქნა შარშან პრეზიდენტს პარლამენტში ერთმა ჯონდი ბაღათურიამ, გადარია. ახლა ასეთი ინტელექტუალური პოტენციალი ჰყავს პარლამენტს და რა უნდოდა პრეზიდენტის მწყობრიდან გამოყვანას?! მერე რაც მოხდა, უკვე დასაგმობი იყო და ,,ქართულმა ოცნებამ" მისცა საბაბი დიპლომატიურ კორპუსს, გაეკიცხათ. სხვათაშორის, აქვე მინდა ვთქვა, რომ დღეს ქვეყნის გადარჩენა შეუძლია ერთ კაცს. ეს არც სააკაშვილია და არც ივანიშვილი.

-მაშ, ვინ?

- კონსტიტუციურად მეორე პირი, დავით უსუფაშვილი, მის სიდინჯესა და გონიერებაზეა დამოკიდებული, არ მიიყვანოს ქვეყანა სამოქალაქო დაპირისპირებამდე. მაგრამ თუ მისი წვლილიც არის იმაში, რომ სააკაშვილი პარლამენტში არ შეუშვეს, ეს მისი შეცოდმაა... უსუფაშვილზე ბევრი რამაა დამოკიდებული, რომ ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირება ავიცილოთ და დასავლეთსაც გავუზარდოთ ნდობა ახალი ხელისუფლებისადმი.

- რას იტყვით იმაზე, რომ მათავრობას ერთ-ერთ პრიორიტეტად სოფლის მეურნეობა აქვს აღიარებული?

- ცნობილია, რომ ნეოლიბერალური მიდგომა სოფლის მეურნეობას დაანგრევს. საქართველოში სოფლის მეურნეობის გასავითარებლად შესანიშნავი ბუნებრივი კლიმატური პირობებია, მაგრამ ღრმა კრიზისში ვართ. ჩვენი მოსახლეობის 54 პროცენტი ცხოვრობს სოფლად, ხოლო სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი მთლიან შიგა პროდუქტში არის 8 პროცენტი. ანუ ჩვენი მოსახლეობის ნახევარი ჩვენი ეკონომიკის მეათედზე ნაკლებს ქმნის. ეს კატასტროფული მაჩვენებელია. სოფლის მეურნეობის განვითარება სახელმწიფოს სუბსიდირების გარეშე შეუძლებელია, მაგრამ ზოგადად სოფლის მეურნეობის პრიორიტეტად აღიარება, შეცდომაა. მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო ორიენტაციის მქონე ქვეყნები მსოფლიოში არც ერთი არ არის განვითარებული.

- თქვენი სიტყვებია ქვეყნის ეკონომიკა და ბიზნესი ერთმანეთისგან უნდა განასხვავოთო, რატომ დაგჭირდათ ამის თქმა?

- ეკონომიკისა და ბიზნესის აღრევა არ არის წმინდა ქართული ფენომენი. ხაფანგია, როცა ცნობილი ბიზნესმენი მოდის პოლიტიკაში, რათა მან არ გადმოიტანოს ბიზნესის მართვის მექანიზმები ქვეყნის მართველობაში. ნობელის პრემიის ლაურიატმა ეკონომიკაში პოლ კრუგმანმა წიგნიც კი დაწერა ასეთი სათაურით ,,ქვეყანა არ არის კომპანია".

- და რასაც საყვედურობდით ყოფილ პრემიერ-მინისტრს ლადო გურგენიძეს..

- დიახ, მან შეხედა ქვეყანას, როგორც ერთ დიდ კომპანიას. გაიხსენეთ ნოღაიდელი რომ ამბობდა, მე ვიყავი კარგი მენეჯერიო. მენეჯერის ადგილი მთავრობაში არ არის, ბიზნესშია, მთავრობას სჭირდება მმართველი.

- და რა განსხვავებაა მათ შორის?

- სერიოზული განსხვავებაა... მაგალითად, კომპანიის მართვის ძირითადი მიზანია მაქსიმალური მოგების მიღება, ან კომპანიის ღირებულების გაზრდა, ან ორივე ერთად. აი, ქვეყნის მმართველობაში მთავარი მიზანია ხალხის კეთილდღეობის გაზრდა, სამუშაო ადგილების შექმნა, ექსპორტის სტიმულირება. და თუ ბიზნესისთვის საგადასახადო პოლიტიკა თუ ინფლაცია მოცემულობაა, მთავრობისთვის ეს ეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტებია. ამიტომ ვთქვი, ეს საფრთხე შესაძლოა ბიძინა ივანიშვილის წინაშეც დადგეს-მეთქი.

- რაც შეეხება ეროვნულ ბანკს...

- ეროვნული ბანკი არ შეიძლება იყოს მთავრობის მიერ დამორჩილებული, რასაც "ნაციონალური მოძრაობის" მთავრობა აკეთებდა. ბიძინა ივანიშვილმა და ნოდარ ხადურმაც აღნიშნეს, რომ ითანამშრომლებენ ეროვნულ ბანკთან. ქვეყანას სჭირდება მაკროეკონომიკური სტაბილურობა, რომელიც დგას ორ ფეხზე: ეროვნულ ბანკსა და მთავრობაზე. მათ შორის აუცილებელია თანამშრომლობა და როგორც ვიცი, ყველა მხარე ამისთვის მზად არის.

- ჩვენი საუბრიდან ჩანს, რომ პროგნოზი არც თუ უიმედოა, თუმცა "ნაციონალური მოძრაობის" გენერალური მდივანი ეკონომიკურ კრიზისზე საუბრობს. თქვენ ზემოთ აღნიშნეთ, რომ სისტემატურად იღებთ ინფორმაციას ხაზინის შესახებ, თუ სტატისტიკას დავეყრდნობით, რა დასკვნა შეიძლება გაკეთდეს?

- დეკემბერში მართლაც იყო ეკონომიკის კლება, მაგრამ ერთი თვის კლება არ ნიშნავს, რომ კრიზისია. საერთაშორისო სტანდარტის თანახმად, თუ კლება უწყვეტად გრძელდება ორი კვარტლის განმავლობაში, ეს ნიშნავს რეცესიას.

- თქვენ არ ემხრობით ფინანსური ამნისტიის გამოცხადებას, რომელიც ასე ვთქვათ, სააკაშვილის ერთერთი ულტიმატუმია ახალი ხელისუფლებისადმი?

- ფინანსური ამნისტიის გამოცხადება ნიშნავს, რომ ყველა კეთილსინდისიერი გადამხდელი დავსაჯოთ. რომ იხდიდა გადასახადებს პატიოსნად, მან რა დააშავა? ამნისტია სჭირდება სააკაშვილს, იმისთვის რომ ის კომპანიები გადაარჩინოს, რომელსაც წინა მთავრობა ლობირებდა და ფულს არ ახდევინებდა ბიუჯეტში, სამაგიეროდ პირად დამფინანსებელად ჰყავდათ.

-ბატონო ლადო, შეიძლება მკითხველი გადავღალეთ, მაგრამ ძალიან საინტერესოა თქვენი აზრი საქართველოს რკინიგზის გახსნასთან დაკავშირებით.

- ამ რკინიგზას ჰქვია ტრანსკავკასიური რკინიგზა. დღეს საქართველოს ამ რკინიგზის გახსნა არაფერში სჭირდება, ხვალ კი შეიძლება დასჭირდეს. განყენებულად რკინიგზის გახსნა კარგია, მაგრამ ამ კონკრეტულ ვითარებაში საქართველოს არაფრის მომცემია. პირიქით, შეიძლება შეგვექმნას პრობლემა აზერბაიჯანელებთან, თურქებთან და მეტიც ამერიკელებთან. 8 წლის წინათ შეჩერდა პროექტი ირან-სომხეთის დამაკავშირებელი რკინიგზისა. თუ რუსეთი სომხეთს დაუკავშირდა, არაფერი შეაჩერებს ამ პროექტის განხორციელებას და ძნელი მისახვედრი არ არის, რა პოზიცია ექნება რეგიონში ამერიკის შეერთებულ შტატებს. არც აფხაზებს აინტერესებთ მაინც და მაინც ეს სარკინიგზო მაგისტრალი. ისინი ამბობენ, ჩვენ არ გვჭირდება, ქართველებს სჭირდებათო. იქნება ტვირთების გადაადგილება და სომხები გადავლენ რუსეთში, თორემ ქართველები ვერ ჩაჯდებიან

იმ მატარებელში, ვინ შეუშვებს მათ აფხაზეთში? ჩემი აზრით, მხოლოდ რკინიგზა ვერ დაგვაახლოვებს აფხაზებთან, ჯერ დამოკიდებულება უნდა შეიცვალოს ადამიანებს შორის, მოქალაქეების გადაადგილება გამარტივდეს, თორემ რკინიგზა ამას ვერ გადაწყვეტს. ასე რომ, ეს პროექტი უფრო სჭირდება სომხეთს და რუსეთს, ვიდრე ჩვენ.

- თქვენ ამბობდით, რომ ქართული ეკონომიკა ქრონიკულად არის დაავადებულიო. ახლი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ხომ არ შეიცვალეთ აზრი?

- როცა ადმიანი სიკვდილის პირასაა, წნევა უვარდება. რაც ეკონომიკაში ხდებოდა მთელი 2012 წლის განმავლობაში, ეს იყო დეფლაცია. გაჩნდა დეპრესიული მომხმარებელი, ხალხს არ ჰქონდა ფული საყიდლებისთვის. ,, ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა ოქტომბერში. ამის შემობრუნებას სჭირდება ეკონომიკის სტიმულირება, რაც მიზნად დაისახა ახალმა მთავრობამ. თუმცა ამას არ ექნება მყისიერი ეფექტი, დრო სჭირდება. თქვა კიდეც ბიძინა ივანიშვილმა, რომ ეს წელი იქნება მძიმე, არც 2014 წელს უნდა ველოდოთ, რომ რაღაც გრანდიოზული მოხდება. ეკონომიკას ახასიათებს ინერციულობა, და უარყოფითი ინერცია მასში სწორედ წინა ხელისუფლებამ ჩადო.

- ანუ ეკონომიკურ ფეიერვერკებს არ უნდა ველოდეთ?

- ეკონომიკაში ფეიერვერკი არც არასდროს გვქონია...

ესაუბრა **თეა მოსია**